**სსიპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუკისციხის საჯარო სკოლის სამოქალაქო ჩართულობის კლუბი - Civic Mind**

**Civic Engagement Club of Bukitsikhe Public School in Chokhatauri Municipality**

**ჩვენ შესახებ**

ჩვენ წარმოვადგენთ, სსიპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბუკისციხის საჯარო სკოლის სამოქალაქო ჩართულობის კლუბს. კლუბი ჩამოყალიბდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სოციალური ჩართულობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ცენტრის სტუდენტებთან თანამშრომლობის საფუძველზე.

About us

We represent the Civic Engagement Club of Bukitsikhe Public School in Chokhatauri Municipality. The club was formed on the basis of cooperation with the students of Ilia State University Faculty of Arts and Sciences, Center for Social Involment  and Civic Integration.

**კლუბის ხელმძღვანელი პედაგოგი:** ნათია ხუცურაული
**კლუბის პრეზიდენტი:** როლანდიკო კიკვაძე

**საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი:** ანი შარაშიძე

**ტექნიკური უზრუნველყოფა:** გია სამხარაძე

**ტექტის ედიტორი:** ანა ბოლქვაძე.

გარემოსდაცვითი აქციებისა და ღონისძიებების მოწყობა:

კლუბის წევრები:

**მე-9 კლასის მოსწავლეები:**

თამარ თოდრია

ლუკა კოტრიკაძე

დიკო კიკვაძე

**მე-10 კლასის მოსწავლეები:**

ანა ბოლქვაძე

ანი შარაშიძე

გია სამხარაძე

სალომე კოტრიკაძე

ნინო კუჭაშვილი

ბაჩუკი სიხარულიძე

სამოქალაქო ჩართულობის კლუბის წესდება

# Civic Engagement Club Statue

დამტკიცებულია: სსიპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბუკისციხის საჯარო სკოლის

ბრძანებით (25.09.2019წ.)

სსიპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის, ბუკისციხის საჯარო სკოლის ეკო კლუბის

წესდება

2019წ.

წესდება

მუხლი 1. წესდებით რეგულირებული ურთიერთობები

წინამდებარე დებულება განსაზღვრავს ბუკისციხის საჯარო სკოლის სამოქალაქო ჩართულობის კლუბის ძირითად პრინციპებს, საქმიანობის მიმართულებებს, კლუბის ლიდერის, კურატორის, წევრის უფლება-მოვალეობებს, ასევე ეკოკლუბის საქმიანობის სფეროსა და შედეგებს.

კლუბი შეიქმნა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სოციალური ჩართულობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ცენტრის სტუდენტების მიერ.

კლუბი ექვემდებარება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სოციალური ჩართულობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ცენტრის წესებსა და სტანდარტებს.

მუხლი2. კლუბის მიზნები

განათლებისა და სამოქალაქო ჩართულობის მხარდაჭერა

- მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ ცნობიერების ამაღლება ახალგაზრდებში და ადგილობრივ თემში
- გარემოსდაცვითი და სათემო ინიციატივების და პროექტების მართვის, დოკუმენტაციის წარმოების, წერის, ვიზუალიზაციის, კომუნიკაციის უნარების განვითარება სკოლაში და ადგილობრივ საზოგადოებაში

სათემო განვითარების შესაძლებლობების ზრდის ხელშეწყობა, იდეების ინკუბაცია სათემო და კერძო ინიციატივებისათვის

· ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვა ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვის, სათემო განვითარებისა და ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის პროცესში

· ინსტიტუციებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება

დამოუკიდებელი სამოქალაქო ჩართულობის მონიტორინგის განხორციელება

· მოსწავლეების, პედაგოგებისა და თემის გაძლიერება სამოქალაქო ჩართულობის, გარემოსდაცვითი საკითხების კვლევასა და ადვოკატირებაში

მუხლი 3. კლუბის ფუნქციები

§ 1.სკოლაში სწავლა-სწავლებასთან დაკავშირებული აქტივობების ინიცირება და განხორციელება.

§ 2.სხვადასხვა სასკოლო და სკოლისგარეშე გარემოსდაცვითი ღონისძიების დაგეგმვა და განხორციელებისათვის ხელშეწყობა.

§ 3.მოსწავლეების ჩართვა არაფორფამლური, მოხალისეობრივი, გარემოსდაცვითი განათლების მიღების პროცესში

§ 4.მოსწავლეების მიერ სხვადასხვა აქტივობის დაგეგმვა-განხორცელება, შეხვედრების, კონფერენციების, ტრენინგების ორგანიზება და ჩატარება

§ 5. საკონკურსო თემატიკის შესაბამისად მონაწილეობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამაში ,,სასკოლო აქტივობების ხელშეწყობა''

მუხლი 4. ეკლუბის წევრობა

1. კლუბის წევრი შეიძლება გახდეს მოსწავლე, რომელიც

გამოთქვამს გაწევრიანების სურვილს, იზიარებს კლუბის მიზნებს, წარმოადგენს

საკუთარ ხედვებსა და წინადადებებს კლუბის საქმიანობის ეფექტურად

წარმართვის მიზნით.

2. წევრობა არის ნებაყოფლობითი და კლუბის წევრი იმავდროულად შეიძლება

იყოს სხვა კლუბის წევრიც.

3. კლუბის წევრობის მსურველი ვალდებულია

- წარმოადგინოს საკუთარი ხედვა, მოსაზრება გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით.
- მოამზადოს საინტერესო პროექტი, გამოიჩინოს ინიციატივა.

კლუბის წევრს უფლება აქვს:

ა) მონაწილეობდეს სამუშაო შეხვედრების დაგეგმვაში

ბ) მონაწილეობდეს კლუბი მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში

გ) ფლობდეს ინფორმაციას კლუბის
ლიდერის ან კურატორისგან კლუბის საქმიანობის შესახებ.

დ) ისარგებლოს კლუბის სახელით საჭიროების შემთხვევაში

კლუბის წევრი მოვალეა:

ა) დაიცვას კლუბის დებულება და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.

ბ) გაუფრთხილდეს კლუბის ღირსებას და ავტორიტეტს.

გ) აქტიური მონაწილეობა მიიღოს კლუბის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში და

საკუთარი წვლილი შეიტანოს მის ეფექტურ ფუნქციონირებაში.

მუხლი 5. კლუბის ლიდერი

ლიდერი აირჩევა ფარული კენჭისყრის საფუძველზე,მისი კანდიდატურის

წამოყენების უფლება აქვს კლუბის ხელმძღვანელსა და წევრებს. ლიდერის

უფლებამოსილება იწყება არჩევის მომენტიდან და გრძელდება ახალი ლიდერის

არჩევამდე.

ლიდერის შერჩევა ხდება ყოველწლიურად, შესაძლებელია კონკურსის

საფუძველზეც.

კლუბის ლიდერი:

ა) წარმართავს საქმიანობას

ბ) უძღვება დაგეგმილ ღონისძიებებს, შეხვედრებს

გ) წევრებთან ერთად ქმნის სამუშაო გეგმას

დ) ითვალისწინებს წევრების მოსაზრებებს, წინადადებებს

ე) წევრებთან ერთად გეგმავს და განსაზღვრავს საჭიროებებს

ვ) თანამშრომლობდეს სკოლის ადმინისტრაციასთან, პედაგოგებთან

ზ) უზრუნველყოფდეს სტუმრების მოწვევის, შეხვედრების, ღონისძიებებისა და

აქტივობების დაგეგმვა-განხორციელებას.

თ) თითოეული ღონისძიების დაგეგმვის შემდეგ მოამზადოს ანგარიში, დაურთოს

ფოტომასალას და წარუდგინოს კლუბის  ხელმძღვანელს (კურატორს).

კლუბის  ხელმძღვანელობა

კლუბს  ხელმძღვანელობს პედაგოგი, ნათია ხუცურაული

კათედრის ერთ-ერთი წევრი, რომელიც ირჩევა კათედრის სხდომაზე ყოველი

სასწავლო წლის დასაწყისში.

ხელმძღვანელი მიმართულებას აძლევს და ხელს უწყობს კლუბის  მუშაობას.

ზრუნავს კლუბისს საქმიანობის ეფექტური მუშაობისა და წახალისებისათვის.

კლუბის სამუშაო პერიოდი

ა) კლუბის სამუშაო პერიოდი ემთხვევა სასწავლო სემესტრებს და საზაფხულო არდადეგებს

ბ) კლუბი  იკრიბება კვირაში  ერთხელ, წინასწარ შერჩეული თარიღის მიხედვით, ასევე საჭირ ოებისამებრ.

გ) კლუბი მუშაობას იწყებს საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგ,

საჭიროებისამებრ იკრიბება შაბათ- კვირას.